ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ებ ა № 133

8 მაისი
"---"---------- 2015 წ

ქ. თბილისი

შპს "თბილსერვის ჯგუფის "კაპიტალის გაზრდასთან დაკავშირებით ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანხმობის მიცემის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კეთილმოწყობის საქალაქო სამსახურის 31/03/2015 წლის №08-18/15090381 (რეგისტრაციის №08/4106-8) წერილის გათვალისწინებით, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას მიზანშეწონილად მიაჩნია ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს „თბილსერვის ჯგუფს" კაპიტალში გადაეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. N17-ში მდებარე სასაწყობე ბაზაში განთავსებული 9 ტონა ტექნიკური მარილი და 11 ტონა წიდა, რომლის შეფასებასთან დაკავშირებით ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ ქონების მართვის საგენტოში შპს „რიალ აუდიტის" (ს/ნ 204566996) მიერ წარმოდგენილია 08/04/2015 წლის №33 აუდიტორული დასკვნა.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტის 127-ე მუხლის მე-2 პუნქტის, „მეწარმეთა შესახებ" საქართველოს კანონის 9[1] მუხლის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის №20-100 დადგენილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 50%-ზე მეტი წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების ქონების (ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების) განკარგვის (გასხვისების ან/და სარგებლობის უფლებით გადაცემის) და ინვენტარიზაციის და ამორტიზებული ან გამოუყენებელი ქონების ჩამოწერის წესის" მე-5 მუხლის საფუძველზე, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

1. თანხმობა მიეცეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში რიცხული, დანართით გათვალისწინებული, ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. N17-ში მდებარე სასაწყობე ბაზაში განთავსებული 9 ტონა ტექნიკური მარილის და 11 ტონა წიდის ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-ანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს „თბილსერვის ჯგუფის" (ს/კ 206267494) კაპიტალში შენატანის განხორციელებაზე.

2. ეს განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ.თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. №6).

საკრებულოს თავმჯდომარე — გიორგი ალიბეგაშვილი

დანართი

№	მოძრავი ქონების დახასიათება	მოძრავი ქონების რაოდენობა	ერთეულის (ტონის) ფასი ლარებში	მთლიანი ღირებულება ლარებში	შენიშვნა
1	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. N17-ში მდებარე სასაწყობე ბაზაში განთავსებული ტექნიკური მარილი	9 ტონა	70	630	შპს „რიალ აუდიტის" (ს/ნ 204566996) 08/04/2015 წლის №33 აუდიტორული დასკვნის გათვალისწინებით.
2	ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საკუთრებაში არსებული ქ. თბილისში, თვალჭრელიძის ქ. N17-ში მდებარე სასაწყობე ბაზაში განთავსებული წიდა	11 ტონა	15	165	
სულ ღირებულება				795	